წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ოთხშაბათი, 21 სექტემბერი

# სამშობლო

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით 7 კ** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან ... ბულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათ შემდეგ 5 მან.

**რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ, ქნ. მიქელაძის სახლებში.**

№ 442 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 442



მწუხარებასა შინა მყოფნი მამა მღვდელი იოანე, მეუღლე ნინა, ძმები: ბესარიონ და ანდრია, დები: საფიო, ქრისტინა და ანასტასია, აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ, რომ 22 ამა სექტემბერს, დღით ხუთშაბათს ნაწირვებს, სოფელ ქვალონში მოხდება დასაფლავება პოდპოლკოვნიკ

ბიკტორ ივანეს ძე ხოჭოლავასი

306 1—1

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 19 სექტემბრიდან **განსაკუთრებით დიდებისათვის**

1 რიგი. **მხედარ B-ეს საარშიყო თავგადასავალი.**

დრამა ხუთ ნაწილად ცნობილ მსახიობთა გარიჩევასა და საიმპერატორო თეატრების მსახიობის პოლონსკის მონაწილეობით.

გაწვრთნილი თუთიყუში.

სახუმარო.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 22 სექტემბრიდან:

**ცეცხლიანი ეშმაკი.**

დრამა ოთხ ნაწილად ცნობილ მსახიობ ქალის ხოლოდნაიას მონაწილეობით.

სახუმარო სურათი. **პრენსი როგორ გახდა ყაჩაღი.** სახუმარო სურათი

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 19 სექტემბრიდან:

სულის ნიღაბი

კინო პიესა 4 დიდ ნაწილად ანნა მარის სცენარით. სურბიას სამეფო თეატრის რეჟისორის მიერ დადგმული ანდრეევისა, გზავსკის, პეტიბას, სავილეის, პავლოვას, მურატოვას, რუტკოვსკაიასა და ნერონოვის მონაწილეობით.

**ლამაზი მოვაჭრე ქალი**

სახუმარო.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 22 სექტემბრიდან

და სიმღერა დაუთავებელი დარჩა

დრამა ხუთ ნაწილად მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწილეობით

**ქრონიკა გომონი** უკანასკნელი მიმდინარე ამბავი.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

?-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი ი. ჩარკვიანი** ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავადმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135. თ

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავადმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბარიატინსკის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**პანსიონი** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. პილაძის. შესავალი გაზ. „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილი წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური მისამართი: დადიანის შესახვევი, გ კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

**ქართული კედლის კალენდარი 1917 წლისა.**

გ. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზია შეუდგა 1917 წლისათვის ქართული კედლის კალენდრის გამოცემას.

სავაჭრო-სამრეწველო ფირმებს, აგენტურებს და დაწესებულებებს შეუძლიათ წიგნის მაღაზიასთან შეთანხმებით მოათავსონ კალენდარში თავისი განცხადებები მეტად ზომიერ ფასად.

298—4—12.


# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

### უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისაგან.

19 ენკენისთვე

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. რიგის სამხრეთით ზარბაზნებით ჩამოვაგდეთ მტრის ჰაეროპლანი, რომელიც მოპირდაპირის მხარეს ჩამოვარდა. ბროდი-კრასნოს რკინის გზის მიდამოებში და მის სამხრეთით ბრძოლაა. ჩვენი ჯარი ბრძოლით წინ იწევს. მოპირდაპირე ძლიერს წინააღმდეგობას გვიწევს, აქ დავატყვევეთ 59 აფიცერი და 1928 ჯარისკაცი. ბჟეჟანის სამხრეთით მდ. ცეკუვკაზე, ზოლოტოი ლიპას მარჯვენა ნაპირას ბჟეჟანის სამხრეთით ჩვენი საქმე მარჯვედ მიდის. აქ დავატყვევეთ 112 აფიცერი და 2288 ჯარისკაცი. მტერმა ღამე რამდენჯერმე იერიში მოიტანას, მაგრამ ტყვიისმფრქვეველებით მოვიგერიეთ. ამ მიდამოებში ჩვენი ჰაეროპლანები გერმანელეის „ალბატროს“ შეებრძოლა. მფრინავმა შტ კაპ. შირკომ მტრის ჰაეროპლანზე იერიში მიიტანა. ჰაეროპლანი იძულებული გახდა თავისიანების მხარეს დაშვებულიყო.

**კავკასიის ასპარეზზე** არსებითი ცვლილება არა ყოფილა.

18 ენკენისთვე

**ბუქარესტი.** რუმინელების ოფიც. ცნობა. ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზზე ბრძოლაა მთელ ხაზზე. უფრო ცხარე ბრძოლაა როტმანადბატკუს ჩრდილო-დასავლეთით სტენაგარდის ჩრდილოეთით. მტერი დასავლეთისაკენ იხევს. სიმიუს მიდამოებში მედგარი ბრძოლა გრძელდება. პერინის კუნძულის სამხრეთით, არხში ზარბაზნებით დავლუპეთ მტრის სამხედრო გემი. მოპირდაპირის მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ჩერნავოდს, ალექსანდრიას და ბუქარესტის სამხრეთით მდებარე სოფლებს. მეხეჟუნტის ოლქში, ხადეზის მახლობლად მტრის ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ. ფრანგების ჰაეროპლანი სოლუნიდან ვაილეშტში მოფრინდა.

15 ენკენისთვეს მტერმა ბუქარესტს ყუმბარები დაუშინა. ზარალი უმნიშვნელოა.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. ჩვენმა ჰაეროპლანებმა პრილეპს ბევრი ყუმბარები დაუშინეს. მეორე ჰაეროპლანმა სოფიას დაუშინა ყუმბარები და მერე ბუქარესტამდე გადაიდარა, სადაც მშვიდობიანად დაეშვა.

19 ენკენისთვე

**ბუქარესტი.** რუმინეთის ოფიციალი ცნობა. დობრუჯაში ბრძოლაა ზარბაზნებით და ჰაეროპლანებით.

**ლონდონი.** საფრანგეთის ასპარეზზე მომქმ. ინგლისის მთავარ ბანაკის ცნობა. მთელი დღე ზარბაზნების მედგარი სროლა იყო დესტრების ფერმასა, სტაფის და ცოლერნის რედუტების მიმართ. ჩვენი ბრძოლის ხაზი წინ წავწიეთ ოკურდამეს სამხრეთით. ტიენვალეს მიდამოში დავატყვევეთ 3 აფიცერი და 164 მეომარი. 15 ენკენისთვეს კიდევ ორი საფრენი ჩამოვაგდეთ.

**სტოკჰოლმი.** ბერლინიდან იტყობინებიან: პრუსიის სამხედრო მინისტრი სამსახურიდან გადადგა.

**ბუქარესტი.** რუმინეთის მეფემ 30 ენკენისთვეს ბრძანება გასცა, 1917 წელს ჯარში გასაწვევი ახალგაზდები ეხლა გაიწვიეთო.

### ჟურნალ-გაზეთებიდან.

ინგლისის ესკადრას ფლანდრიის სანაპიროებისათვის ზარბაზნები დაუშენია ნავთსადგურსა და ციხე კალეს თავს ცეპელინი დასცემია და ოცი ყუმბარა ჩამოუგდია.

——

ინგლისის მთავრობას აზრად აქვს მომავალ წლის ივნისამდე 100000 კაცის გაწვევა ჯარში.

——

როგორც ვენიზელოსის სიტყვებიდან სჩანს ის არ გამოუცხადებს ბრძოლას მთავრობის მომხრეებს და მისი მიზანი მხოლოდ მაკედონიის ბულგარელებისგან გათავისუფლება იქნება.

——

მოკავშირეთა წარმომადგენლები კვლავ არ ეკარებიან საბერძნეთის ახალ კაბინეტს რამაც ძალიან დააფიქრა ახალი პრემიერი.

——

კუნძულ კორფუზე მდგომი საბერძნეთის ჯარი მთავრობას გადგომია და მოკავშირეების მხარეზე ომში ჩარევა მოუთხოვია.

——

ბერძნული გაზეთები სწერენ: მეფე კონსტანტინე რომ ომს არ უცხადებს გერმანიას, მიუხედავად ხალხის ძალდატანებისა, ეს იმით აიხსნება, რომ კონსტანტინეს სწამს, გერმანელები მალე დაამარცხებენ სარილის და რუმინიის ჯარსაო.

——

ვენიზელოსის სიტყვით საბერძნეთის 100 სამხედრო გემიდან 75 მზათაა დღესვე მოკავშირეებს მიემხროს.

——

საბერძნეთის ყველა ქალაქებიდან აფიცრები სალონიკში გარბიან, რათა ნაციონალურ თავდაცვის კომიტეტში ჩაეწერნენ.

——

საბერძნეთის უდიდესი ჯავშნოსანი „ავეროვი“ მოკავშირეთა ფლოტს შეერთებია.

——

საბერძნეთის გენერალურ შტაბის უფროს სამსახურისთვის თავი დაუნებებია და ამასთანავე მეფისათვის განუცხადებია.

——

საფრანგეთის ოფიციალურ წყაროების მიხედვით 2 უკანასკნელ თვეში ფრანგებს 250 გერმანელთა ჰაეროპლანი ჩამოუგდიათ, ფრანგების ჰაეროპლანები 142 ჯერ დასცემიან გერმანელებს და 5,426 ყუმბარა ჩამოუგდიათ!

——

საბერძნეთის ნაციონალურ თავდაცვის კომიტეტს საყოველთაო მობლიზაცია გამოუცხადებია. გუნარისის ორგანო „ემბსორც“ კი ენერგიულ ზომების მიღებას მოითხოვს ბულგარელების წინააღმდეგ.

——

საბერძნეთის საუკეთესო გენერლები მეამბოხეთა მხარეზე გადავიდენ და ერთი მხარეზე სამსახურს თავს ანებებენ.

——

საბერძნეთში პოლიტიკური ატმოსფერა ისეთი შეიქმნა, რომ შესაძლებლად სცნობენ მეფე დასთანხმდეს ხალხს და ბულგარეთს ომი გამოუცხადოს.

——

ზღვაში დაღუპულა ინგლისის გემი „დრეზდენი“.

——

„ბერლინი ტაგებლატში“ მოთავსებულია წერილი შემდეგი სათაურით „რუსეთი და გერმანია“ წერილში ის აზრია გატარებული, რომ რუსეთთან ომი გერმანიას არ უნდა მოსვლოდა.

——

„სტოკჰოლმ დაგბლატის“ კორესპოდენტს აღმოსავლეთ პრუსიაში უმოგზაურია და სხვათა შორის სწერს: მე გამაკვირვა მორჩენილ დაჭრილთა სიმრავლემო. თურმე დაჭრილ გერმანელ ჯარისკაცთაგან 90% რჩება.

——

კოპენგაგენიდან იტყობინებიან: დიქსმიუდსა და ნიუპორტთან ძლიერი სარტილერიო ბრძოლის ხმა მოდისო.

——

კავკასიის ასპარეზიდან ოსმალებს ჯარი სხვა ასპარეზებზე გადაყავთ.

——

რუმინიის ოფიციოზი „ვიტორულ“ სწერს: ტყიან კარპატებში და ბუკოვინაში ავსტრიელები ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენო: რუმინიელები სამხრეთიდან უტევენ, ხოლო რუსები ჩრდილოეთიდან და ეს გარემოება მათ აიძულებს უკან დაიხიონ მთელ ასპარეზებზედაო.

——

ბულგარელები ციხე ვიდინიდან ზარბაზნებს უშენენ რუმინიის ქალაქ კალფატს. რუმინელები უპასუხებენ.

——

დობრუჯის ასპარეზზე ბრძოლის ინციატივა ერთიანად რუსების და რუმინელების ხელში გადავიდა.

——

საბერძნეთმა, რომ გერმანიას კავალაში დატყვევებულ ჯარის განთავისუფლება სთხოვა, მხოლოდ თვალთ მაქცობა ყოფილა.

——

კუნძულ კრიტაზე დღემდე 30 ათასი კაცი ყოფილა შეიარაღებული.

——

ახლო მომავალში ვენიზელოსი მანიფესტს გამოაქვეყნებს და შემდეგ ოფიციალურად ბულგარეთს ომს გამოუცხადებს.

——

გერმანიაში სამხედრო ცენზურა კვლავ გაუძლიერებიათ.

——

შვეციის გარეშე საქმეთა მინისტრს „ტაიმსის“ თანამშრომლისთვის განუცხადებია: მართალია, მეომარ სახელმწიფოებს გაჭირვებულ მდგომარეობის გამო ბევრი უნდა ავიტანოთ, მაგრამ ჩვენ უფლებებს არავის გავაქელვინებთო.

——

ცნობილ ფორდის საზავო ექსპედიციას შვეცარიისათვის უთხოვია: მოიწვიეთ ნეიტრალ სახელმწიფოთა კონფერენცია, ზავის ჩამოსაგდებათო, მაგრამ შვეიცარიამ უარით უპასუხა.

——

ისპანიაში სავაჭრო გემების პატრონებს მიუმართავთ პრემიერ რომანოსისათვის, თუ ჩვენ არ უზრუნველგვყოფ გერმანელ წყალქვეშა ნავების თავდასხმისგან, ზღვაზედ მოსვლას შევაჩერებთო; ამაზე რომანისს უპასუხნია, თუ შესწყვეტ მოძრაობას, თქვენ საზოგადოებას დავხურავო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** ბროდისა და კრასნოს მიდამოებში მკაცრი ბრძოლაა. მდ. ზოლოტაია ლიპაზე ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები სწარმოებს.

**კავკასიის ასპარეზი.** არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

**დასავლეთის ასპარეზი.** მდ. სომმაზე საარტილერიო ბრძოლაა. დანარჩენ ნაწილებში თვალსაჩინო არაფერი მომხდარა.

**იტალიის ასპარეზი.** ცნობა არ არის.

**რუმინიის ასპარეზი.** ჩრდილოეთით შეტაკებებია, რუმინელები ძლიერ იერიშებს იგერიებენ და თავის მდგომარეობა გამოაკეთეს. დობრუჯაში საარტილერიო ბრძოლაა.

**მაკედონიის ასპარეზი.** სიწყნარეა.

**ქ. ქუთაისი, 21 ენკენისთვე.**

**რუევსკის მოხსენება და საპარლამენტო ტაქტიკა.**

რუევსკის მოხსენებამ სხვათა შორის მითაც გვარგო, რომ ჩვენს საპარლამენტო ტაქტიკას ფარდა ახადა და ჩვენი შეცდომა ცხადად დაგვანახა.

ჩვენი დეპუტატები სახელმწიფო სათათბიროში იმგვარ ჯგუფებში სხედან, რომელთაც უმთავრესად დეკლარაციათა, დემონსტრაციათა, პრინციპებისა და პროგრამების გამოფენათა და კრიტიკის ტაქტიკა ახასიათებს.

საპარლამენტო შრომის ამგვარად განაწილება საჭიროც არის. კადეტები, პროგრესისტები, ოკტომბრელები და მემარჯვენეები რეალურს, ოპორტუნისტურ ტაქტიკას აწარმოებენ, მემარცხენეები კი იმათ პრინციპებს გაახსენებენ ხოლმე. ეს მიტომ არის საჭირო, რომ საქმითი პოლიტიკა გარეშე პრინციპისა ხშირად უკანდახევასა შობს და, პირიქით, პრინციპის დეკლარაცია, ხორცშეუსხმელი, საქმედ არ ქცეული, დეკლარაცია — უმნიშვნელოა.

ძალთა ამგვარი შენაწევრება, მართალია, ნებაყოფლობით, თანხმობით არ მომხდარა, არამედ სტიქიურად, თავისთავად, წინასწარ შეურიგებლად, მაგრამ მაინც ფაქტია, სინამდვილეა, რომელსაც, სამწუხაროდ, მხოლოდ ჩვენი ბრმა პოლიტიკოსები ვერ ხედვენ ან არ უნდათ დაინახონ.

მოგეხსენებათ, რომ პირველი ქართველი დეპუტატები სოციალდემოკრატები იყვნენ (მხოლოდ ერთი იყო ფედერალისტი) და რუსულს მემარცხენე ჯგუფებში გაითქვიფენ. ისინი რუსეთის პროლეტარიატის — და არა ქართველი ერის — სახელით ლაპარაკობდენ. მაშასადამე, დემოკრატიულ-იმპერიალისტურ პოლიტიკას — და არა ეროვნულს — აწარმოებდენ. ერთი სიტყვით, საქართველოს წარმომადგენლად ვერ ჩაითვლებოდენ.

იგივე შეიძლება ვთქვათ ფედერალისტების კანდიდატის შესახებაც.

შემდეგ ხომ მათ სადეპატატო სავარძლები ხელიდან ვეღარ დავგლიჯეთ. და დღეს ორი ქართველი დეპუტატი — ორივე კოსმოპოლიტ-სოციალისტია და საერთოს, სარუსეთო საქმეს უფრო ემსახურება, ვიდრე საკუთარს, ეროვნულს.

უკანასკნელი არჩევნების დროს ავტორი ამრჩევლებს სულ იმას ჩასჩიჩინებდა, ფედერალისტების დეპუტატი ქართველების წარმომადგენელი იქნება და ,,შრომის ჯგუფში'' არ დაჯდებაო, დეპუტატად კიტა აბაშიძე გვინდოდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზისა გამო განსვენებული ვარლამ გელოვანი იქნა არჩეული. მახსოვს, ამრჩევლების კრებაზე დავიფიცე, ვ. გელოვანი ჩვენი, ეროვნული წარმომადგენელი იქნება მეთქი.

მაგრამ ჩემი ფიცი არ გამართლდა და ფედერალისტების ჯგუფის განაჩენით ის ,,შრომის ჯგუფის'' წევრი შეიქნა ამ ჯგუფის პროგრამამ და ტაქტიკამ კი ნება არ მისცა, ყოფილიყო ეროვნული დეპუტატი.

დღეს კი საპარლამენტო ტაქტიკის შეცვლის საჭიროება თითქო ყველამ შეიგნო. არა თუ ,,საქართველო'' და „სამშობლო“ და ვ. დემიდოვი. და მ. მაჩაბელი, არამედ ,,სახალხო ფურცელი“ და ,,მეგობარიც'' და თვით კიტა აბაშიძეც თითქო ჩვენთან არიან.

მართლაც, რუევსკის მოხსენებამ ყველა დაარწმუნა, რომ შეუძლებელია, ჩვენი საპარლამენტო ტაქტიკა მარტო კრიტიკითა და დეკლარაციებით გარეშეიწერებოდეს.

დღევანდელმა საბედისწერო მდგომარეობამ ერობის — თუნდ 1890 წლის — ჩვენში შემოღების აუცილებლობა ყველას შეაგნებინა, მემარჯვენესაცა და მემარცხენესაც.

რუევსკი, მისი ამხანაგები — კადეტები —, შრომის ჯგუფი და სოციალდემოკრატები კი გვეუბნებიან: 1890 წლის ერობა ყელზე დაგადგებათ, კიდევ რამდენსამე წელს მოიცადეთ და, როცა რუსეთში ახალი პოლიტიკური წესწყობილება განხორციელდება, ე. ი. რუსეთი განახლდება, კარგ ერობას მოგართმევთო. უნებურად მახსენდება ნათქვამი: აცა, ვირო, ნუ მოკვდები, მოვა ალავერდობაო.

საკვირველი კია: ჩვენ მიერ მოთხოვნილ ერობას გვიწუნებენ, კარგი, უკეთესი კანონპროექტის შესახებ კი გვეუბნებიან, არ განხორციელდება, მხოლოდ დემონსტრაციის ბრძოლის იარაღად გვინდა მოვიხმაროთო. თქვენ კი, ვიდრე ბიუროკრატიას დავამარცხებდეთ, უერობოდაც არა გიშავსთ რაო!

ეს ჩვენი ერის საცინლად აგდებაა! მაგრამ რა უფლება გვაქვს დავემდუროთ კადეტებს, როდესაც მათს ტაქტიკას ჩვენი დეპუტატებიც კი იზიარებენ. მაგალითად, კარლო ჩხეიძემ პირდაპირ განაცხადა: 1890 წლის ტიპის ერობის კავკასიაში შემოღებას მხარს არ დავუჭერთო. ამასვე ამბობდა განსვენებული ვარლამ გელოვანიც. ადვილი გასაგებიც არის: „შრომის ჯგუფი“ და სოციალდემოკრატები კადეტებზე ათასჯერ ნაკლებად ოპორტუნისტები არიან.

მაგრამ რას მივაწეროთ, „სახალხო ფურცელი“ და „მეგობარი“ რომ რეალური პოლიტიკისკენ იხრებიან? შესწევსთ კი გამბედაობა, თავისი ტაქტიკა სავსებით შესცვალონ?! და ფიქრობდენ თუ არა, რომ, როდესაც რუევსკის ტაქტიკას უწუნებდენ, თავისი გზისა და კალაპოტის მიმართულებასა სცვლიდენ?!

მართლაც, თუ კი ერობის საკითხში დეკლარაციის ნაცვლად რეალურ ტაქტიკას აღიარებენ, ყველა სხვა საკითხშიაც ხომ აგრეთვე უნდა მოიქცენ! მაშინ კი „შრომის ჯგუფთან“, რასაკვირველია, ყოველივე კავშირი უნდა გასწყვიტონ და, ასე გასინჯეთ, სოციალისტობაზედაც კი ხელი უნდა აიღონ!

იციან კი, საითკენ მიაქანებსთ ახალი გზა? და მიჰყვებიან ბოლომდის ამ გზას თუ დროზე შეჩერდებიან და ძველ მიმართულებასავე დაუბრუნდებიან?!

რას ფიქრობენ?

ვასილ წერეთელი.

# ქართული პრესა.

ჩვენ რომ გარეშეთაგან სიკეთე არ მოგვეცემა დაჩ ვენი სამართლიანი მოთხოვნილებანი ყოველთვის დაწიხლული იქნება, ნათლადა სჩანს შემდეგი წერილიდან, რომელიც გაზ. „საქართველოშია“ დაბეჭდილი:

გვეგონა რომ კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია სამუდამოდ უკუ აგდებდა იმ პოლიტიკას რომელსაც იგი აქამდის აწარმოებდა შემოერთებულ სამაჰმადიანო საქართველოში. გვეგონა თუ ხსენებული ადმინისტრაცია სახელმძღვანელოდ გაიხდიდა იმ საგანგებო კომისიის აზრებსა და დასკვნებს, რომელიც გენერალი პარტშინის მეთაურობით იძიებდა აჭარის ამბებს. ამ ოფიციალმა გამოძიებამ სამწუხარო შეცდომად აღიარა კავკასიის ადმინისტრაციის მთელი წარსული მოქმედება აჭარელთა შორის და აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია, რომ მთავრობა ქართულ ენასა და კულტურას დაყრდნობოდა ქართველ მაჰმადიანებ შორის რუსეთის სახელმწიფოებრივი პრინციპების განმტკიცების საქმეში.

ეს იყო მიზეზი, რომ აჭარამ დღეს პირველად ნახა ქართული ენა და წიგნები ადგილობრივად გამართულ სკოლებში, თუ მთელი ათეული წლების განმავლობაში უყურადღებოდ რჩებოდა წერა-კითხვის საზოგადოების თხოვნა, რომ უფლება მისცემოდა აჭარაში სკოლების გახსნისა, ამ გამოძიების შემდეგ ქართული საქველმოქმედო საზოგადოება გაუჭირვებლად ხსნის თავის სკოლებს, ყველას ეგონა მთავრობამ საბოლოოდ შეიწყნარა საგანგებო გამოძიებისაგან ნაჩვენები გზა და საშუალებათ. როგორც სჩანს საგანგებო კომისიის გონივრულ დასკვნებს ვადა გასვლია და ბათომის ადმინისტრაცია ძველ დაგმობილ გზას უბრუნდება. უკვე თავდარიგი დაუჭერიათ — ოსმალური სახელმძღვანელოების და წიგნები შესადგენად.

საცაა აჭარლებს და სხვა ქართველ მაჰმადიანებს ოსმალებად გამოაცხადებენ და პეტროგრადის მაგივრად [illegible] დისკენ უზამენ! ოდესღა [illegible] კულტურა აღმოფხვრას მაჰმადიან ქართველთა შორის და სახელმწიფო ინტერესსაც არ დაგიდევს ქვეყნის მხნედი ადმინისტრაცია.

ამავე გზით მოქმედებს მთავრობა ლაზისტანშიაც. მაშინ, როდესაც კავკასიის თათრები თავისუფლად დადიან ლაზისტანში და მშიერ ლაზებს დახმარებას უწევენ, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას საქმეს უძნელებენ და ნებას არ რთავენ ლაზისტანის ზოგიერთ ადგილას თავისი პუნქტები გაიხსნოს და ხალხს საკვები და საექიმო დახმარება მიაშველოს. ქართულ თაოსნობას და მოქმედებას დღეს დაბრკოლებები ხვდება გზაზედ აჭარაშიც და ლაზისტანშიც. ქართველმა საზოგადოებამ ამ გარემოებას უნდა ყურადღება მიაქციოს და გაიგოს ამ ახალი კურსის ასავალ-დასავალი

# ახალი ამბავი.

✦ მსახიობი ვ. გუნია ძალიან ავად გამხდარა უკვე მოუწვევიათ ცნობილ ქართველ ექიმთა კონსილიუმი; ბ-ნ ივ. გომართელის, ვ. მუხაძის, ს. ვირსალაძის და შ. მიქელაძის აზრით ავადმყოფი უკიდურეს ზომამდეა დასუსტებული. მუდმივი თვალყურის დევნას ავადმყოფს ივ გომართელი გაუწევს.

✦ ყულაბებით ფულის მოგროვება ქ. საქველმოქ საზოგადოების გამგეობას თბ. გუბერნატორმა ნება დართო 27 ენკენისთვეს ქ თბილისში ყულაბებით ფული მოაგროვოს თავის ქონების გასაძლიერებლად.

✦ მეფის ნაცვალს სადარბაზოდ წარუდგა ცხენოსან ჯარის პოლკოვნიკი ამაშუყელი, რომელიც დარბაზობის შემდეგ მიწვეულ იქმნა საუზმეზე.

✦ ქართულ სასოფლო სამეურნე საზოგადოებას სთხოვს კავკასიის სასოფლო ამეურნეო საზოგადოების საბჭო, შეაგროვოს და დაამუშაოს მასალები შესახებ ხალხის გამოკვებისა, სათესლეს მოპოებისა სამეურნეო იარაღებისა, მუშა ხელისა და სხ. ეს მასალა უნდა წარუდგინონ ამიერ კავკასიის სოფლის მეურნეთა და კოოპერატივებისა და სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა წარმომადგენლების კრებას, რომელიც, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების თანხმობით მოწვეული არიან სათათბიროდ არა უგვიანეს 22 ღვინოებისთვისა.

✦ ხმებია, ვითომ ცნობა მოსულიყოს ლურჯ ბილეთიანების 1894 წლიდან გაწვევის შესახებ.

✦ სახ. უნივერსიტეტის სექციამ, რომელსაც აბარია სალამოს კურსები, დაადგინა: უმცროს ჯგუფში წელს მიღებულ იქმნენ ისეთი მსმენელებიც, რომელიც წერა-კითხვა სრულიად არ იციან. ამგვარ მოწაფეთა რიცხვი თანდათან მატულობს, ვინაიდგან ქუთაისში აღარ არსებობს ამ ჟამად საკვირაო შკოლა.

✦ მომხმარებელ საზოგადოების „კოოპერაციის“ გამგეობის წინადადებით, სახ. უნივერსიტეტთან არსებულ სალამო კურსებზე ამ მოკლე ხანში მოხდება ლექციების კითხვა კოოპერაციაზე. გამგეობამ დაავალა თავმჯდომარეს, რომ რაც შეიძლება მალე მიართვას ქუთაისის გუბერნატორს თხოვნა ამ საკითხის შესახებ.

✦ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თავმჯდომარე ალ. ალ. გარსევანიშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: დღეს 21 ენკენისთვეს, დაიწყება მეცადინობა სალამო კურსებზე (ივანოვის ქუჩა, კ. ნიკოლაძის სახლი). აქვე მიღებული იქნებიან ახალი მსმენელნიც.

**შეცდომის გასწორება.**

გუშინდელ ჩვენ ფელეტონში „ცხებ-ცხელების ბიოლოგია“, შემდეგი შეცდომებია: დაბეჭდილია: 1) ციებ ცხელება ემართება ერთგვარ კოღოსაგან... უნდა იყოს: ორგვარ კოღოსაგან. დაბეჭდილია: 2) კოღო

# დაფნისი და ქლოია.

**ანტიური მოთხრობა ლონგუსისა.**

(შემდეგი იხ. „სამშ.“ № 434.)

ორი ალტყინებული თხა დაეტაკა ერთმანეთს. ერთი, შედარებით უფრო ღონიერი, ისეთი ძლიერებით ეცა მეორეს, რომ რქა მოსტეხა და უკუაქცია — დიდხანს სდია დამარცხებულს. რქის მოტეხით გაბრაზებული დაფნისი გამარჯვებულს გამოეკიდა კომბლით ხელში. ერთი თავდაცვის, ხოლო მეორე დასჯის მიზნით დიდხანს გარბოდნენ და აღარც იმისი სცხელოდათ, რომ გზა ეთვალიერებინათ და ორივე კი ორმოში ჩაცვივდნენ: ჯერ თხა, ზევიდან დაფნისი დაეცა საბედნიეროთ და ამიტომ არა დაშავებია-რა. იჯდა ორმოში და ტიროდა ბავშვივით, სანამ მოეხმარებოდა ვინმე და ამოიყვანდა. შორიდან სეირის მაყურებელმა ქლოიამ მიირბინა იმავ წამს ორმოსთან და, როდესაც დარწმუნდა, რომ ცოცხალი გადარჩენილიყო დაფნისი, მწყემსებს მოუწოდა საშველად. მეცხვარეს აღარ დაუყოვნებია, მოირბინა და თოკს დაუწყო ძებნა, რომ ამოეყვანა, მაგრამ ვერა ნახა რა ისეთი. მაშინ ზონარი მოიძრო ქლოიამ თმიდან და გადასცა მეცხვარეს... ზონარი ორმოში ჩაუშვეს, დაფნისი მოეჭიდა ბოლოში და დიდი გაჭირვებით ამოათრიეს ორივემ ერთად. რასაკვირველია, არც თხას დასტოვებდენ იქ. საბრალოს ჩავარდნის დროს ორივე რქები მონტვრეოდა ასე გადუხადა შურისძიების ღმერთმა გამარჯვებულს. რქებ მონსხვრეული თხა მეცხვარეს აჩუქეს გასამრჯელოდ შეეწირა და, რომ მსხვერპლად პირობა დასდევს, თავი გაემართლებინათ სახლში, ვითომ მგელმა მოიტაცა, თუ, რასაკვირველია, შეამჩნევდა ვინმე თხის დანაკლისს. შემდეგ კი ფარას დაუბრუნდნენ. როდესაც დარწმუნდენ, რომ ორივე ფარა უვნებლად სძოვდნენ, მუხის ჩრდილოში მისხდნენ და თვალიერება დაუწყო თავის თავს დაფნისმა, ხომ არა დამიშავდა-რაო. თმა და ტანი კი დასვროდა ტალახში. დაფნისმა დაბანვა გადასწყვიტა, რომ არას მიმხვდარიყვნენ ლამონი და მირტალია.

ფერიათა განსაწმენდელში მოსვლისას სამოსი და ტყავის ჩანთა ქლოიას გადასცა და თვითონ კი ტანისა და კულულების ბანვა დაიწყო. გრძელი და ხშირი შავი თმა თითქოს ეგუებოდა მის მზისაგან გარუჯულ და ალეწილ სხეულს. ქლოია გაშტერებული უყურებდა მობანავე დაფნისს — მოხიბლა მისი ტანის მოყვანილობამ და მოხდენილობამ. მას არ ენახა მანამდე შიშველი დაფნისი და ახლა იმ დასკვნამდე მივიდა, ვითომ წყაროს წყალი ამშვენებდა და ალამაზებდა მას. ქლოიამ საკუთარი ხელებით ჩამობანა მხრები და, რადგან ძლიერ ნაზი და სათუთი სხეული მოხვდა ხელში, რამდენჯერმე საიდუმლოდ შეეხო საკუთარ ტანს იმ მიზნით, რომ შეეტყო, ვის უფრო რბილი და ნაზი სხეული აქვსო. მზე დასავლეთისკენ გადიხარა და ფაროსთან ერთად ისინიც დაბრუნდნენ სახლში. ამ დღიდან ერთი სურვილი-ღა აცოცხლებდა ქლოიას: ხელ-ახლა ეხილნა წყაროს წყალში მობანავე დაფნისი: მეორე დღეს, როდესაც საძოვრად გამორეკავს ფარა, მუხის ჩრდილ-ქვეშ ჩამომჯდარი დაფნისი სტვირზე უკრავდა და თან თვალს ადევნებდა თხებს, ისინი კი თვალებში შესცქეროდნენ მის ფერხთით წამოწოლილნი და თან ყურს უგდებდნენ სტვირის ხმას. მის გვერდით მჯდომი ქლოიაც ხშირად მიაშტერდებოდა თვალებში. ამ ჟამადაც ისეთივე ლამაზი და მხიბლავი ეჩვენება მას დაფნისი, როგორიც ბანაობის დროს და ეგონა მუსიკამ დააჯილდოვა ის ისეთი სილამაზით, ამიტომ გამართვა სტვირი და თვითონ სცადა დაკვრა. იმ იმედით, რომ ისიც ისეთივე მშვენიერი შეიქმნებოდა, როგორიც დაფნისი იყო. ქლოიამ სთხოვა, ერთხელ კიდევ ებანა წყაროს წყალში და კვლავ იხილა შიშველი, იხილა და შეეხო მის სხეულს უკან დაბრუნებისას სულ მის სილამაზესა და მშვენიერებაზე ფიქრობდა და ეს ფიქრი იყო სიყვარულის პირველი დასაწყისი. სოფლად აღზრდილი გულუბრყვილო გოგონა სახელს ვერ უძებნიდა საკუთარ გრძნობას, რადგან არასოდეს არა სმენოდა-რა სიყვარულზე. ხოლო სული კი ეტანჯებოდა, თვალებს აცეცებდა აქეთ-იქით; ხშირად ახსენებდა დაფნისს; საჭმელი აჭკვეთა, თითქმის მთელი ღამეობით არ ეძინა, ცხვრის ფარაც კი დაივიწყებას მისცა; გამოიღვიძებდა უცებ მძინარე, წამოვარდებოდა შეშლილივით. ხან მკვდრის ფერი ედვა სახეზე, ხან კი აწითლდებოდა. კრაზანას ნაკბენი ხბო ნაკლებ ტკივილს იგრძნობდა, ვიდრე ქლოია. მარტოდ დარჩენილი ხშირად მიმართავდა თავისსავე თავს:

„ავადა ვარ, მაგრამ რა არ ვიცი, რით?! ტკივილებსა ვგრძნობ და ჭრილობა რომ არა მაქვს! ვწუხვარ, ვიტანჯები, დავნაღვლიანდი. გული სევდით მევსება, როდესაც არც ერთი ცხვარი არ მოჰკლებია ჩემ ფარას. გრილოში და ჩრდილოშიც კი ალივით ვენთები და ცეცხლი მეკიდება. რამდენჯერ ასკილს ან კუნელს გაუკაწრავარ და ერთი ცრემლიც არ გადმომვარდნია. რამდენჯერ ფუტკარს დავუკბენივარ, მაგრამ სმა-ჭამის მადა კი არ დამკარგვია ამით. ყველა ჩამოთვლილზე მტკივანია ახლანდელი იარა, რომელიც მთელ გულ-ღვიძლს მიღრღნის. მშვენიერია დაფნისი,. მერე რა ვუყოთ, ყვავილნიც ხომ არიან ლამაზნი, საამო ხმებს გამოსცემს მისი სტვირი, მაგრამ აკი ბულბული გაცილებით უკეთესად და ნაზად უსტვენს. ამათზე კი არ ვფიქრობ. რატომ სალამური არა ვარ, რომ მისი სულისთქმა ვიგრძნო თხად დავბადებულიყავ — უმჯობესი იყო, მაშინ ხომ გამიფრთხილდებოდა ის თვალისჩინივით მომივლიდა! ჰოი, დაწყევლილო წყაროვ, მხოლოდ დაფნისი დაამშვენე! მე კი თურმე სულ ტყუილად ვყურყუმალობდი შენს წყალში. შემინდეთ, ტკბილნო ფერიანო! თქვენც გამირბიხართ! არ გსურთ, იხსნათ, ვინც თქვენ შორის იზრდებოდა! ვილა დაგიწნავთ გვირგვინს ჩემს შემდეგ?! ვილა მოუვლის ჩემ საბრალო ცხვარ-ბატკანთ? ვილა იზრუნებს ჩემს ყბედ ჭრიჭინაზე? ისეთი შრომით და მზრუნველობით დავატყვევე ლერწმის მახით, რომ ნანინა ეგალობნა ჩემთვის სიცხე-პაპანაქების ჟამს ამ გამოქვაბულში. ეხლა დაფნისმა დამიფრთხო ძილი და უშედეგოდ მღერის ჭრიჭინაც!

15. ასე ეწამებოდა ქლოია და არ იცოდა სიყვარულის სახელი. სამაგიეროდ უკვე დავაჟკაცებული და ულვაშ ამწვანებული ღამის მეხრე დარკონი, რომელმაც ორმოდან ამოიყვანა დაფნისი, იმ დღიდან ქლოიას ტყვე შეიქნა; მან არამც თუ იცოდა სიყვარულის სახელი, გამოეცადა კიდეც ეს გრძნობა. რაც დრო მიდიოდა, უფრო მეტად იბნიდებოდა ქლოიას სიყვარულით. დაფნისის არსებობა არც კი აგონდებოდა, რადგან ბავშვად სთვლიდა მას; ან საჩუქრებით ან მოხერხებით უნდა მიეღწია მიზნისთვის — აი დარკონის გადაწყვეტილება. პირველად დაფნისის გადმობირება მოისურვა და ცხრა ლულიანი მეცხვარის სალამური აჩუქა, ქლოიას კი ავაზის დაფოთლილი ტყავის ვაკხანელთა სამკაული მიუძღვნა. რაც დრო მიდიოდა, დაფნისი შესძულდა თანდათან დარკონს, ქლოიას კი ყოველდღე სთავაზობდა ახლად შედედებულ ყველს, საკუთარი ხელით დაწნულ გვირგვინსა და თაიგულებს, ხილეულობას და ოქროთი მოჩუქურთმებულ თასს, ან კაკანათით დაჭერილ ლამაზ, ჭრელ ჩიტებს. ქლოია ჯერ გამოუცდელი იყო ამისთანობაში და სიხარულით იღებდა მეცხვარის საჩუქრებს. მხოლოდ განუსაზღვრელ სიხარულსა და ბედნიერებას მაშინ გრძნობდა, როდესაც რომელიმე საჩუქრის განაწილება შეიძლებოდა და დაფნისსაც გაუზიარებდა. სულ ადრე მასაც უნდა ეგემნა სიყვარულის ტანჯვანი. ერთ დღეს გაცხარებული კამათი ჰქონდათ დარკონსა და დაფნისს იმის შესახებ, თუ რომელი მათგანი უფრო ლამაზია მსაჯულად ქლოია აირჩიეს;

„ანოფელეს“ სწორათ არის დასობილი თავით ძირს. უნდა იყოს: ...„თავით და ტანით ძირს“.. დაბეჭდილია 3) „ავათმყოფ სხეულში წითელი ბურთები მილიარდებით მოიპოვება“. უნდა იყოს: „მალარიის პარაზიტები ავათმყოფის სხეულში მილიარდობით მოიპოვება“. დაბეჭდილია 4) „დამპალ ციებ ცხელების დროს ხმარობენ თაგვის შაქარს, ქინა ქინს“. უნდა იყოს: „საზოგადოდ, ციებ-ცხელების დროს“. დაბეჭდილია: 5) „ზამთარში ავათმყოფს უნდა ასვათ ქინა“. უნდა იყოს: „ზაათარში მალარიით ავათმყოფებს ყველას უნდა ასვათ... და კოლოები ვეღარავისგან ვეღარ გადაიტანენ ამ სენს“ დაბეჭდილია: 6) „გვინკიაში“ უნდა იყოს“ ახალ გვინეიაში. ასეთი საშვალებით სულ მოისპო მალარია. დაბეჭდილია 7) „უნდა ამოვჭრათ ჭაობები“ უნდა იყოს: „უნდა ამოვაშროთ ჭაობები“.

გუშინდელ ჩვენ გაზეთში გადმობეჭდილია კ. აბაშიძის სიტყვის ბოლოში გამოტოვებულია („ს. ფ.“)

## რა გვეშველება?

„ღმერთო, იხსენი ავაზაკებისაგან ისედაც გაძვალტყავებული საზოგადოება!“-ო.

ასე ათავებს თავის წერილს ერთი გულგატეხილი ქართველი ჯარის კაცთაგანი, რომლის წერილიც სამეგრელოდან დღევანდელ ჩვენს გაზეთშია მოთავსებული

ისევ ღმერთი, ისევ ლოცვა-ვედრება, მეტი აღარა დაგვრჩენია რა ამ სისხლის წვიმების დროს!

უპატრონოდ, უკაცოდ მიტოვებულ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს დარევიან ჩარჩები, მატყუვრები, ყაჩაღ-ავაზაკები და აწიოკებენ უმწეო ქალ-რძალთ, უსუსურ ბავშვებს, ბრმა და დამბლა-დაცემულ მოხუცებს.

სად, სად გაჰქრა „მომზადებული“ ხალხი?

სად არიან „გათვითცნობიერებული“ მუშაკნი?

ომში?

შეიძლება ასეც იყოს, რადგანაც ნახევარზე მეტი ქართველობისა დღეს ბრძოლის ველზეა, მაგრამ ვინც სახლში დარჩა, რატომ არ ხელმძღვანელობს იმ მადლისა და ფაქიზის მცნებებით, რომელიც ჩვენში არსებულ მიმართულებებმა ვითომდა შეიტანეს სოფლად?...

რა პასუხი უნდა მივცეთ იმ მეომრებს, რომელთაც ეღირსებათ შინ დაბრუნება, მაგრამ სახლ-კარი კი აწიოკებული და ნამუს-ახდილი დაუხვდებათ იმ ნაძირალებისაგან, რომელნიც ვაჟკაცურ სიკვდილ სიცოცხლეს გაურბიან და ავაზაკობით უნდათ შეირჩინონ საძაგელი ყოფნა-მდგომარეობა?..

აბა, წაიკითხეთ დღევანდელი წერილები სამეგრელოდან და ჩოხატაურიდან...

აბა, კარგად ჩაუკვირდით ჩვენი სოფლების უმწეობა-დაბეჩავებას, თუ ჩვენსავით გული არ აგემღვრეთ და სასოწარკვეთილებით არ წამოიძახოთ:

— ოხრათაც დარჩენილა ყოველგვარი მაღალფარდოვნება, თუ კი იმდენიც ვერ გაგვიკეთებია, რომ სამუშაოდ მინდვრად გასულ დედაკაცს ნამუსის ახდისა არ ეშინოდეს და უდედმამოდ დარჩენილ ბავშვს გულშემატკივარი არა ჰყავდეს!...

— ხალხი გავაღვიძეთ, ხალხი ფეხზე დავაყენეთ, ხალხში სინათლე და სიკეთე შევიტანეთო!—გვაყვედრიან ზოგიერთები და, ვინც ამ სინათლესთან არსებულ სიბნელეს უფრო ხედავს, ვინაიდან ამ სიბნელემ გაჭირვების დროს მკაცრად გაშალა თავისი შავი ფრთები,—ვინც ეწინააღმდეგება ყოველგვარ ოცნებას და რეალურ მუშაობას მოითხოვს, ხალხის მტრებთა და შოვინისტებად გვთვლიან.

სცდებით, ბატონო ჩვენებურო მეოცნებენო, ჩვენ ხალხის მტრები არც ვყოფილვართ არცა ვართ და არც ვიქნებით!

პირიქით, ჩვენ წინადაც ვიცოდით და ახლაც ვიცით, რომ სოფელს იხსნიდა და იხსნის მხოლოდ ერთობა, ერთობა თვით ხალხის წიაღიდან წარმოშობილი, ერთობა,—მშობლიურ ნიადაგზე აღმოცენებული, ერთობა ერის ისტორიულად შემუშავებულ ხასიათზე დამყარებული, ერთობა ჭეშმარიტი და არა მოჩვენებული.

ჩვენ ვიცოდით და ვიცით, რომ ყოველგვარ მოთხოვნილებას თან უნდა სდევდეს შესაფერი და აუცილებელი მოვალეობაც, ყოველივე საქმე რეალურ, მტკიცე ნიადაგზე უნდა იყოს აგებული, თორემ ქარის მოტანილს, ისევ ქარივე წაიღებს!

ჩვენ ვიცოდით და ვიცით, რომ გლეხს, მშრომელ ხალხს, სოფელს—ამ მთელი საქართველოს ბურჯს—პირველ ყოვლისა სჭიროდა და სჭირია ეროვნული სკოლა, კოოპერატივი, თვითმართველობა, ვაჭრობა-მრეწველობა-მეურნეობის აყვავება, სამკურნალოები, გზები, ხიდები,—სჭირია ერობა და ხალხოსნური ურთიერთობა,—მაგრამ ამის მაგივრად ჩვენ მოვინდომეთ პირდაპირ სამოთხეში გადასკუპება...

ჩვენ დავიყავით ერთმანეთის მოსისხლე ჯგუფებად და ხშირად ცეცხლითა და მახვილით ვცდილობდით ჩვენ-ჩვენის მოძღვრების გავრცელებას.

ჩვენ მოვინდომეთ რომ ქართველი ხალხი ყოფილიყო ავანგარდად მთელის რუსეთის მოძრაობისა, ჩვენ ნეკერი ვნახეთ და სახტომი კი აღარ გამოვზომეთ და აი დღეს... არამც თუ არაფერი არ გვიჭირავს ხელში, არამედ გარედ სხვის დასაცინად, სხვის ზარბაზნების ხორცად გადავიქეცით და შინ კიდევ ერთმანეთსა ვჭამთ, ვცემთ და ვაგინებთ სიმართლის მღაღადებელთ, უპატრონოდ დარჩენილ დედაკაცებსა და ბავშვებს ვაწიოკებთ, ჩარჩებისა და წვრილფეხა მოხელეების საყვლეფად გავმხდარვართ.

ჩვენ რომ იმ თავითვე, ჭკუით მოვქცეულიყავით და შეერთებულის ძალით რეალური პოლიტიკა გვეწარმოებინა, ჩვენ რომ იმ თავითვე დიდ ოცნებებს არ გამოვკიდებოდით და სოფლისათვის მიგვეცა ის, რის მიცემაც შეგვეძლო, ჩვენ რომ იმ თავითვე გაგვეთვალისწინებინა ის როლი, რომელიც უნდა ეთამაშნა პატარა, დამონებულსა და უფლება აყრილ საქართველოს, ჩვენ რომ ჩვენი ჯგუფური გულისთქმა ხალხის რეალურ ინტერესებისათვის დაგვექვემდებარებინა და აღგვეზარდა სული და გული ქართველი კაცისა, მომავილი თაობისა; ჩვენ რომ შეერთებულის ძალით მართლა გვექადაგნა ძმობა-ერთობა, ეს ქადაგება საქმითაც შეგვესრულებინა და ისტორიის ჩარხის უკულმა ტრიალით წელში გატეხილი ქართველობა ერთმანეთისათვის არ მიგვესია; ჩვენ რომ გავფრთხილებოდით ჩვენი ხალხის მოწინავე ძალებს და რუსეთ-ციმბირის სატუსაღო—მინდვრები არ გაგვეპოხიერებინა მათის ძვლებით (თამამად ვამბობთ: მთელს კავკასიაში და რუსეთშიც შედარებით ყველაზე დიდი მსხვერპლი საქართველომ გაიღო მოძრაობის დროს); ჩვენ რომ იმ თავითვე ჩამოგვევდო მტკიცე და ჭეშმარიტი ურთიერთობა და შეერთებულის ძალით, ორგანიზაციულად შეგვეკრა სოფელი და სოფლის გულისთქმა, ახლა ათი თაბახით წინ ვიქნებოდით და—ქვეყნის ამ საერთო უბედურების დროს, ასე ვეღარ გაბედავდენ სოფლისა და მშრომელი ხალხის დაჩაგვრასა და გაუბედურებას.

ყველა ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩვენგან გაღებულ მსხვერპლს არ მოჰყვა შესაფერი ნაყოფი და გზა-კვალ არეული საქართველო უფრო უარესს გაჭირვებასა და უბედურებაში ჩავარდა.

მიბძანდით სოფლად და დაუკვირდით ჩვენ ხალხს: გატყდა გული, დაიკარგა სალამი, წახდა მეზობლობა, გაჰქრა რწმენა, რწმენა ღვთის მეტყველური კიარა, რწმენა ხალხოსნური: ე. ი., მისწრაფება ზნეობა-გონებით ამაღლებისა და გაფაქიზებისაკენ... ყველა ერთმანეთის მოტყუებასა სცდილობს, ყველა წვრილფეხა-ჩარჩბაცაცად გადაქცეულა, ყველა თავის პირად ინტერესების მეტს აღარას ხედავს და აღარა სწამს რა!...

ვინმე რომ გაბედავდეს დღევანდელი ქართველის დახასიათებას, ეს დახასიათება იქნებოდა ყოვლად თავ-ზარ დამცემი, ყოვლად შავბნელი და ჩვენი ქვეყნის მტრებს ხელში მისცემდა უტყუარ საბუთს ჩვენის გონებრივად და ზნეობრივად გახრწნისას!...

მაგრამ ჩვენ კიდევ ვიმედოვნებთ, რომ ასეთი მოვლენა დროებითია, წარმავალია!.

ასეთი მოვლენა ნაყოფია ქართველი ერის დაჩაგრულობისა და უფლება-აყრილობისა, ასეთი მოვლენა შედეგია უცხო ნიადაგზე აღზრდა-გაწვრთნისა, ასეთი მოვლენა ნაყურია ეროვნული უილაჯობისა, ასეთი მოვლენა პირმშოა იმ ვერაგი პოლიტიკისა, რომელიც ღაღადებს „გათიშე და იბატონე“....

ქართველი ხალხის შემადგენელი ელემენტებიც გაეთიშნენ ერთმანეთს და აჰა, დღეს ერთანეთს აღარ ინდობენ და უსუსურ ქალრძლებსა და ბავშებზე დაოფრეშობენ...

საზარელია ყველა იმის წარმოდგენა, რაც ხდება სოფლად, მაგრამ უფრო თავზარ დაცემია ის უბედურება, რომელიც მთელის ხალხის ზნეობრივსა და ქონებრივ უფლება-მოსილება...

დროა ჩავუკვირდეთ ასეთ ყოფნას ჩვენის სოფლებისას და ვიკითხოთ—რა გვეშველება?...

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ასეთი საკითხის პირდაპირ დაყენება გვაიძულებს ჩვენში არსებულს ყველა ფხიზელისა და ჯერ კიდევ გაუხრწნელ ძალთა შეჯგუფებას, მხოლოდ. რომელი შეჯგუფებაც იხსნის საქართველოს ფიზიკურისა და სულიერი სიკვდილისაგან.

მანამდის კი დაეხმარეთ, ბატონებო სოფელს, ვისაც კი რითიაც შეგიძლიათ.

უკაცოდ დარჩენილი სოფელი იღუპება.

იგი ყაჩაღებისა და ქურდ-ჩარჩების სათარეშოდ გამხდარა!...

სირცხვილი და სიკვდილია ქართველობისათვის ასეთი ყოფნა!... ი—ა.

## წერილი სამეგრელოდან.

დღეს კვლავ გაიწვიეს სამხედრო ბეგრის მოსახდელად წითელი და ლურჯი ბილეთიანები.

სოფელი ახლა სულ დაცარიელდა. მუშა ხელი გამოეცალა თავის მშობლიურ კერას. ოჯახი დარჩა ქალებს.

შემოდგომაც დაიწყო სიმინდი, ღომი, ჰადი, ყურძენი მოსაკრეფია, მას შინ უნდა მოტანა. ოჯახში ქალებისა და ბავშების მეტი არავინაა.

სამეგრელოში ქალები ვერც დღისით ბედავენ ყანაში გასვლას, რადგან იქ თავისი მეზობელი ყაჩაღი ეგულება და დარწმუნებულია რომ, ის მას უსათუოთ ნამუს ახდის და ამდაგვარად მთელი წლის სარჩო საბადელი მინდვრად რჩება,

სამეგრელოში ყაჩაღთა ბრბო დღითი დღე მატულობს. ხალხს შველა არსაით არა აქვს. გათამამებული ყაჩაღები დღისითაც ეცემიან ოჯახებს, ართმევენ თუ რამე გააჩნიათ; განსაკუთრებით მისდევენ იარაღებს, რადგან მათ ახალი ბრბო ემატებათ და მათ დასარიგებლათ უნდებათ. უბედური სოფლის გლეხ-კაცი (მას შვილი) ბრძოლის ველზე მყოფი, ფულს თხოვს და თუ ტყვეთ არის წაყვანილი—შაქარს, თუთუნს და მშრალ პურს, ამავე დროს მას „ჯარიმის წერილი“ მოსდის გაბოროტებული ავაზაკებისაგან: „ამა და ამ დროს, ამ და ამ ალაგს ამდენი ფული გამომიგზავნეთ“ თუ არა და სიკვდილით იმუქრებიან.

საწყალი გლეხი იძულებულია უყურადღებოთ დასტოვოს თავისი შვილის თხოვნა და ყაჩაღების მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

მერე ვინ არიან ეს ყაჩაღები? რასაკვირველია—გასაწვევი ჯარის კაცები, რომლებმაც არ ისურვეს თავის ძმებთან გმირულათ სიკვდილი და წასულ ჯარის კაცების ოჯახებს არბევენ, აუპატიურებენ ქალებს, არბევენ ქალებს, ართმევენ ლუკმა პურის საყიდელ ორიოდე გროშს და თვით ყაჩაღები კი სარგებლობენ მით რომ, დღეს თუ ხვალ მათ მთელის სამშობლოსათვის სიკვდილი და ზოგიერთნი კი გაიძახიან: „თქვენი გულისთვის დაგვსდევენო“, აი ამათი პასუხი. თითქმის საზოგადო მოღვაწის სახელითაც სარგებლობენ. მთავრობამ მათ ბევრი ვერაფერი დააკლო.

არის რამდენიმე მაგალითი: რომ მამასახლისები ათავისუფლებენ გასაწვევ ჯარის კაცებს ე. ი. მალავენ. მათ ფულს ართმევენ. ესენი კი ზოგი აშკარათ დაიარება, ზოგი იმალება და ყაჩაღობს. თუ უფროსებისგან მამასახლისმა ბრძანება მიიღო გაქცეულების წარმოსადგენი, ის აცნობებს რომ, ამ ქვეყანაში არ იმყოფებაო

ამდაგვარად ეს ვაჟბატონები ქვეყანას აქცევენ, რითაც სოფლის მოხელეებიც სარგებლობენ.

ამით მარტო არ კმაყოფილდებიან! ჯარის კაცის მშობლები თუ რამე ჯამაგირს ღებულობენ, მას სოფლის სასამართლოში დიდ ხანს უჩერებენ. პატრონს ფული დაკარგული ჰგონია, ამ დროს მას გამოუჩნდება სოფლის მოხელეების წევრი და დიდი საზოგადო მოღვაწესავით დაპირდება ფულის ამოღებას, მხოლოდ ნახევარს თხოულობს, უბედური ოჯახის პატრონი ქალი იძულებულია დასთანხმდეს და ამდაგვარად მისი ჯამაგირი კუჭ გამომძღარ კაცს მიაქვს და თვითონ კი თავისი პატარა შვილით პირ გამომშრალი რჩება.

თუ რა მდგომარეობაში იყვნენ და არიან ჩვენი მშობლები, ჩვენ ქართველ ჯარის კაცები სოფ. მაგალისორში, რომლებიც სამხედრო გზას ქურთების დაცემისაგან ვიცავთ, გაზეთების საშუალებით ვტყობილობდით; მაგრამ არ გვეგონა თუ ამდაგვარათ, ჩვენი ძმები, რომელნიც შინ დარჩენ აოხრებდენ ჩვენს ოჯახებს. როდესაც მე სარიკამიშიდან თფილის ქუთაისში სახელმწიფო და ჩემი საქმეზე გამომგზავნეს, ამხანაგობამ დამავალა; ჟურნალ-გაზეთების ჩამოტანა და ახალი ამბავი სოფლის გარემოებაზე მეც მას დავპირდი ყველაფერს. დაბრუნებისას მივაწვდი ამ წერილში მოთავსებულ ამბავს,

გამარჯვებულს საჩუქრად ქლოიასავე კოცნა შეხვდებოდა პირველად დარკონმა დაიწყო:

16. „მიყურე, ქლოია, ტანად ბევრად მაღალი და მოხდენილი ვარ დაფნისზე. ის თხებსა მწყემსავს, მე კი ხარებს; ჩემი ხელობა იმდენად კეთილშობილურია, რამდენადაც ხარი უფროსია თხაზე. მე თეთრი ვარ ვით რძე; ნამგლის მომლოდინე ყანასავით ბრწყინავენ ჩემი ქერა კულულები. მე მშობელი დედა მზრდიდა საკუთარი ძუძუთი, მას კი თხა. ეგ ბევრად დაბალია ჩემზე და ჯუჯგი; ქალივით უწვერულვაშოა, თითქმის ქოსა; მგელივით-შავი. თხებსა მწყემსავს, რომელთაც საშინელი სუნი სდით. ამბობენ, თხის ცური უწოვნია დაფნისსო და ამიტომაც ისე საშინლადა ჰგავს ციკანს“.

შემდეგ დაფნისმა ილაპარაკა:

„მართალია, მეც თხამ გამომზარდა ისევე, ვით ზევსი. თხებსა ვწყემსავ და არც ერთ მაგის ძროხაზე არ გავცვლიდი მათ. თხის სუნი მე არა მდევს ისევე, ვით ღმერთ-პანს. რომელსაც ნახევარი ტანი თხისა აქვს. ყველი შავი. პური და თეთრი ღვინო, აი ჩემი გლეხური სიმდიდრე. მეტი არც მინდა რამე. უწვერულვაშო ვარ, ვით დიონისე შავი, ვით სუმბულის ყვავილი ხოლო. დიონისე ბევრად ქაჯებზე მაღლა სდგას, ვით სუმბული შროშანის ყვავილზე. დარკონი წითელია მელიასავით და წვერი კი მართლა თხას მიუგავს; თეთრია და გაბლინძული გოგოლა, ვით ქალაქელი მანდილოსანი. მე თუ მაკოცებ, ქლოია, ტუჩებსვე იგრძნობ ტუჩებზე და თუ მაგას,—ჯაგარი დაგკაწრავს მაგ მარჯნის ფერ ბაგეთ. მოიგონე ქლოია, რომ შენც ცხვარმა გამოგზაედა, მაგრამ ლამაზი კი ხარ!“

17. მეტი ვეღარ მოითმინა ქლოიამ, მისი ქებით გაამაყებულ ქლოიას ძლივს მიეცა შემთხვევა, დაეკმაყოფილებინა დიდხნის სურვილ ნდომანი, წამოვარდა და გადაეხვია დაფნისს. ეს იყო პირველი, შინაარს მოკლებული და უხეში, მაგრამ იმავე დროს სულის ამმაღლებელი კოცნა. შეურაცხყოფილი დარკონი კი იმ აზრით მოსცილდა მათ, რომ უფრო მოხერხებული დროსთვის გადაედო და უსათუოდ კი დაეკმაყოფილებინა თვისი სურვილი. დაფნისს კი ეგონა.

თითქო ესუნთქა რამემო. გაშეშდა ერთ ადგილს დაღვრემილი და დაფიქრებული; ოხრავდა, გული არაჩვეულებრივად უცემდა და ვერ დაემორჩილებინა მღელვარება. ქლოიოს მზერა სურდა, მაგრამ, როდესაც მოინდომებდა შეხედვას, რცხვენოდა და ვერ უსწორებდა თვალს. და პირველად შენიშნა დღეს, რომ ხშირი ოქროსფერი ნაწნავი ეყარა მხრებზე, ბადრი თვალები და სახის რძის უთეთრესი ფერი ჰხიბლავდნენ და იმონებდნენ მას; თითქო სწორედ ეხლა აეხილა თვალნი და ეხილა სილამაზე. პირთან მიტანილი საჭმელი ავიწყდებოდა და ხელიდან უვარდებოდა. უცებ დაყუჩდა, მოიღრუბლა. უწინდელი „სარეკელა“ და მოუღალავი მეტყველი დადუმდა. ოდესმე თხასავით დაუდეგარი დაფნისი დადინჯდა. დაავიწყდა ფარაც, აღარც სალამური ამუსიკდებოდა. და შემოდგომის ბალახივითა სახეზეც ჩამოყვითლდა. და, როდესაც მოსცილდა ქლოია, მარტოდ დარჩენილი დაფნისმა მიმართა თავის თავს:

18. „ეს რა მოხდა? რა მემართება? რა ცვლილება მოახდინა ჩემში ქლოიოს კოცნამ? ვარდზე უნაზესი არიან მისი ბაგენი, თაფლზე უტკბესი-მათი შეხება; კოცნა კი ფუტკრის ნაკბენზე უმწარესი აღმოჩდა. ბევრჯელ დამიკოცნია ჩემი ციკნები, თვით ქლოიოს ახლად შობილი ბატკნები, დარკონის მიერ ნაჩუქარი ხბოც კი. ხოლო ეს უკანასკნელი კოცნა სულ სხვა იყო: სუნთქვა შემეკრა, გული რაღაცნაირად მიცემს, სული დამიკნინდა; მაინც კი მწადის ერთხელ კვალად ვაკოცო. ოჰ! უსაძაგლესო გამარჯვებავ! ჰოი, საშინელო სენო, რომლის სახელიც არ ვიცი! შხამი ხომ არ დაელია მას ჩემ კოცნამდე? მაშინ ხომ მოკვდებოდა კიდეც. როგორ უსტვენენ ბულბულნი! რა ლამაზად აფერადებულან ყვავილნი! მე კი ფიქრადაც არ მომსვლია გვირგვინი დამეწნა. ია და სუმბული გაიფურჩქნენ და დაფნისი სჭკნება. დარკონი, მგონი ჩემზე ულამაზესი შეიქნება სულ ადრე!“

19. ასე ეწამებოდა, გამოუცდელი, გულუბრყვილო და სიყვარულის საიდუმლოებათა უცნობი დაფნისი. ქლოიას ტყვე, მეხრე-დარკონმა კი დრო იხელთა და, როდესაც დრიასი ახალ ნერგებს რგავდა ბაღში, რამდენიმე კვერეული ყველი ძღვნად მიართვა უწინდელი მეგობრობის გასაახლებლად, რომ ისინი ოდესღაც ერთად მწყემსავდნენ საქონელს. ამ მოკლე წინასიტყვაობის შემდეგ ქლოიას გთხოვებაზე ჩამოუგდო ბაასი და კიდევ დიდ საჩუქრებს შეჰპირდა, თუ მას მიათხოვებს ქალს: უღელ ხარს ორ წყვილსკას, ორმოცდა ათ ვაშლის ნერგს, ფეხსაცმელებისთვის ხარის ტყავს და თითო ხბოს ყოველ წლიურად. დაპირებით მოხიბლული დრიასი კინაღამ მაშინვე დათანხმდა. მაგრამ სწრაფად მოაგონდა, რომ უკეთესი ბედი მოელის ქლოიას და შიშით—მისი უცნობი მშობლების რის სხვა არ დავიმსახუროვო, თუ საიდუმლოება გამომჟღავნდებოდა როდესმე, ვეღარ გაბედა თანხმობა, ბოდიში მოიხადა მის წინაშე და უარი სთქვა საჩუქრების მიღებაზე.

20. რადგან მეორედაც მარცხით დაბოლავდა დარკონის ცდა და ტყუილად ჩაუარა რამდენიმე კვერეულმა ყველმა, ამიტომ ძალით მოინდომა ქლოიოს დასაკუთრება, თუ მარტოს მოახელებდა სადმე. დარკონმა შენიშნა, რომ რიგრიგობით ერეკებიან მდინარეზე ფარას წყლის დასალევინებლად, ერთ დღეს დაფნისი, მეორეს ქლოია; ამიტომ სწორედ მეცხვარისებურ ქამანდს მიმართა მან: თავით-ფეხამდე გაეხვია მგლის ტყავში, რომელიც მისმა ხარმა გამოფუშა ნახირზე დაცემის დროს: ხელები წინა თითებში გაუყარა, ფეხები უკანაში, დინგი თავზე ჩამოიცვა ჩაფხუტივით. ასე გამოეწყო მგლად და იქვე მდინარის პირად დაიმალა ბუჩქებში, სადაც ფარას ერეკებოდნენ წყლის სასმელად. სული განაბა დარკონმა და გულის ფანცქალით ელოდა ქლოიას გამოჩენას. ჯერ შეშინება მოინდომა მისი მგლის სახით და შემდეგ კი დაუფლება.

21. აგერ გამოჩდა ქლოიაც: მარტოდ-მარტო მიერეკებოდა ფარას. დაფნისი ნეკერს ჰკაფავდა, რომ საღამოს სახლში ეჭმია თხებისთვის. მათი ერთგული დარაჯი ძაღლები კი ქლოიას გაჰყვნენ. [illegible]

ბ. შენიძე.

(შემდეგი იქნება.)

ღმერთო! იხსენი ავაზაკების თარეშისაგან ისთედაც გაძვალტყავებული საზოგადოება.

კატ. ს—ძე.

## წერილი ჩოხატაურიდან

არა მგონია მთელს საქართველოში, და უფრო კი რუსეთში, მოიპოვებოდეს ისეთი მხარე, რომელიც ეკკლესიას გაურბოდეს ისე, როგორც გურული ხალხი. ყოველივე საჭირ-ბოროტო საკითხის უაღრესად შემთვისებელი, ყოველ საჭირო გამოძახილის ხმის შემაერთებელი, ფხიზლად მოძრავი და გამოსადეგარი გურული ხალხი განსაკუთრებით მოძრაობიდან დაწყებული ამ უკანასკნელ დღეებამდე, იმის ცდაშია, რომ სხვა, მათთვის „სავნებ საქმეთა“ შორის, ეკკლესიაც და მისი წინამძღვრებიც ლანძღვით მოიხსენიოს.

ვერ ვიტყვი, ერთობ ყველა ასე იქცეოდეს, მაგრამ ის დიდი უმრავლესობა, რომელიც გაცოცხლებული ძალღვის ამმოძრავებლად ითვლება, ჩემ სიტყვებს სავსებით ამართლებს. ქალების ერთი ნაწილიც კი იმ ქალების რომელნიც ერის სინაზე—სიფაქიზის გამომსახველებად ითვლებოდნენ, რომლებიც ქვეყნიერთა და ზეციერთა ლოცვით შემაერთებლად ირიცხებოდნენ, დღეს, ამ მხრივ, თავქვე დაქანებულა და ჰფიქრობს უფრო მოკაზმვისათვის, ვიდრე სულისა და გულის განსპეტაკებაზე.

ვერც იმას ვიტყვი, რომ ყველა მღვდელი მიზან შეწონილად იქცეოდეს მაგრამ ჩვენ როდესაც რწმენით აღვიჭურვებით, ნება გვექნება მათაც მეტი მოვთხოვოთ; ან არა და ხომ არიან ისეთნი; რომელთ ქცევა მოსაწონია, რომელთ უანგარო მოქმედება ეკკლესიას, როგორც მცნებას, ბევრს რასმეს ჰმატებს... რატომ არ უწვდიან მათ დახმარების ხელს ის პირნი, ვისაც პირზე „მოყვასთა პატივისცემა, ძმობა, ერთობა და სიყვარული“ აკერიათ!.. ეს ჯგუფი ხომ ქრისტეს მცნების „მიმდევარია“, რატომ ერთხელ არ მიაშურებს იმ ტაძარს სადაც სწორედ ეს ქრისტეს სიტყვები გაისმის?!.

ერთხელ პატივცემულ დეკანოზ კალ. ცინცაძეს ვესაუბრებოდით, და ერთმა ამხანაგმა ჰკითხა: „სადღა უნდა შევიდეთ, რომ ეკკლესიები სულ რუსებით იმსება ხოლმე“? მაგრამ ცინცაძემ ყოვლად სამართლიანად და ლოღკურად მოუჭრა: „დალოცვილნო, უწინ თქვენ შებრძანდით და, ადგილი რომ აღარ იქმნება, ისინი სადღა შევლენო!..“ ეს ყოვლად, პატივსადები სიტყვები პატივცემულის დეკანოზისა სწორედ რომ სიმართლის მას შტაბით განიზომება და სხვასაც გაკვეთილად უნდა გამოადგეს... მაგრამ გურიაში, სადაც უცხოელი ხუთი პროცენტიც არ არის, ვინ უშლის ხელს, წინ ვინ ელობება?!.

და, აი, ეს მათი ურწმუნოება უფრო საძრახისი ხდება მაშინ, როდესაც პირადი საჭიროებისათვის სწორედ ამ ეკკლესიას მიჰმართავენ. ეს ხომ სირცხვილია!.. არა გრწამდეს და იარაღად იხდიდე?!.

დღეს ყველამ კარგად იცის ჩვენი საჭირო საკითხი; ყველამ უნდა შეიგნოს, რომ პასუხის მოცემა აუცილებელია; ჩვენ მოვითხოვთ ერის საკუთილდღეო თავისუფლებას, რომელიც ჯერჯერობით ეკკლესიის საკუთარის უფლებებით, მისი ავტოკეფალიობით უნდა დაიწყოს. ყოველივე ამას კი საქმის მომგვარებელი სჭირია. გურიამაც, როგორც ერთმა უმშვენიერესთაგანმა კუთხემ საქართველოისამ, ხმა უნდა ამოიღოს... ეს მცნება მის პირველ დევიზად უნდა გადაიქციოს, მაგრამ, თუ რამეს ვიტყვით, „სასაცილოთ, უპრინციპოდ ჩაგვთვლიან, დახავსებულ წეს-წყობილების მაღმერთებლად გამოგვიყვანენ“...

სწორედ ამავე ურწმუნოებით ხდება ისიც, რომ გურიის ეკკლესიათა დიდი უმრავლესობა სრულიად უყურადღებოთაა მიტოვებული.

„სიძვირეა, სიძვირე“—ყველა ამას გაიძახის და, იმავე დროს, სხვა—უფრო ფუჭ „საჭიროებისათვის“ აუარებელი ფული იფლანგება...

დავიწყოთ პირადი სარგებლობა, ვეძიოთ ერის ჭეშმარიტი საჭიროება და გვრწამდეს, რომ სიცოცხლის ნეტარ წუთებს მხოლოდ ერის ბრწყინვალება განგვაცდევინებს. გურულ ხალხს ბევრი ჭირ-ვარამი გადაუტანია. მის გულის სარკეს ბევრისათვის ბოროტება დაუნახვებია და გაუსწორებინებია და დღესაც გვრწამს, უნდა შეიცვალონ თავისი რწმენის ზოგი მუხლი და უპატრონონ იმ განძს, ურომლისოდაც მათი ცხოვრება არარა იქნება.

მიხ. კიაზოშვილი.

## პროვინციის ცხოვრება.

**მაღლაკი** (ქუთ მაზრა). მაღლაკი სწავლა განათლების მხრით ერთი მოწინავე სოფელთაგანია: აქ არსებობს: რიგიანათ მოწყობილი უფასო წიგნთსაცავ სამკითხველო, ორი ორკლასიანი სასწავლებელი ექვსი მასწავლებლით და ორი ერთკლასიანი სასწავლებელი ოთხი მასწავლებლით. სასწავლებლები ყველა ავსებულია მასწავლებით და ბევრს უადგილობის გამო უარსაც ეუბნებიან. დირექციის ყურადღებაც ამ სასწავლებზედ სათანადოა, გარდა ზედა-მაღლაკის ერთკლასიანი სასწავლებლისა, რომელიც რაღაც აითვალისწუნეს ამ ბოლო დროს. შარშან ამ სასწავლებელში იყო დაუბოლოებელი ჩხუბი და აყალ-მაყალი მასწავლებელთა შორის, რის გამო სწავლის საქმე ძლიერ ფერხდებოდა, ეს იყო მიზეზი, რომ მთავრობამ მასწავლებლები სხვადა სხვა სკოლაში გადაიყვანა, ენკენისთვიდგან აქ გამოგზავნა ქიონია და ლიუბა ნიჟარაძეები, ადგილობრივი ახალგაზდა საქმის მოყვარულნი მასწავლელბლები. ბავშვები სასწავლებელს აუარებელი მოაწყდა, გვეგონა სასურველი მდგომარეობა დამყარდებოდა, მაგრამ ბ. ინსპექტორის განკარგულებამ ყველსა თავზარი დაგვცა წინეთ ეს სასწავლებელი ერთ კომპლექტიანი იყო, ეს ორი წელიწადია ორკომპლექტიანათ გადააკეთეს, ხალხი შესაფერს ხარჯს იხდის, მაგრამ, რაც წინეთ მოსაწონი იყო, ის არ შეიქნა მოსაწონი ბ. ინსპექტორისთვის, მან ახალი მოთხოვნილება წამოუყენა ხალხს მეორე კომპლექტის შესანახად და, რადგანაც, ეს მოთხოვნილება ისე ადვილი ასასრულებელი არ იყო, მან მეორე კომპლექტი დახურულად გამოაცხადა, რის გამოც ერთი მასწავლებელი, და 60 ბავშვი უკანვე უნდა გაბრუნდეს. მეორე რა დანაშაულობა მიუძღვის მასწავლებელს, ან ბავშვებს? ან მასწავლებელს რისთვის ნიშნავდენ, ან ბავშვებს რისთვის ღებულობდენ, თუ საიმისოთ მომზადებული არ იყვენ? ან სად იყვნენ ამ ზაფხულზედ, თუ ამისთანა განკარგულების მოხდენა უნდოდათ?

(ძალიან კარგს იზამს ბ-ნი ინსპექტორი, რომ თავის განკარგულებას იმითი შესცვლიდეს, რომ სასწავლებელს ძველ პირობებში დასტოვებდეს და ამდენ ბავშვებს შკოლის გარეშე არ გაუშვებდეს; ხალხიც მადლიერი დაურჩება და საქმესაც არაფერი დაუშავდებოდა, რადგანაც გახსნილი სასწვლებლის დაკეტვა ძლიერ ცუდ შთაბეჭდლებას ახდენს ხალხზედ.

იქაური.

---

**დ. ხარაგოული.** სწორედ რომ უბედურ ცხოვრებაში ვართ... ერთი მეორისადმი შური, ერთი მეორის მტრობა, გაუტანლობა, საზოგადო საქმისადმი კი მიუეხება, ხმის ამოუღებლობა.

ამ ომმა, მთელ კაცობრიობასთან ერთად ჩვენ პატარა, მაგრამ ტურფა ქვეყანასაც დააჩინა თავისი საშინელი დაღი.

სოფლები რომ დაიაროთ იშვიათად შეგხვდებათ ისეთი ოჯახი, რომ მამა კაცი, ოჯახის ეს მარჩენელი ბურჯი სახლში მოიპოვებოდეს. ყველანი ბრძოლის ველზე არიან და როგორც შეჰფერის ქართველის სახელს, მედგრად და ერთგულად უმკერენ ცხელ ტყვიას გულს.

მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენც, რომელნიც შინ ვართ დარჩენილნი, მთელის ჩვენის ძალ ღონით უნდა უწყობდეთ ხელს მათ უმწეოდ დარჩენილს ოჯახებს, ნამეტნავად მათ ბავშებს, რომელნიც ყოველმხრივ საშინელ გაჭირვებას განიცდიან.

ყველაზე უსაშინელესი გაჭირვება უსწავლელობაა.

ჩვენში სწავლა-განათლების სურვილი თანდათან იზრდება, მაგრამ სკოლის კარები ბევრგან დახურული გვაქვს. ამასთან ერთად იმ მასწავლებლებს, რომელნიც ნამდვილად ასრულებენ თავის მოვალეობას და მთელ თავის სიცოცხლეს სწირავენ ბავშვების ჭეშმარიტად აღზრდას, თუ გაუგეს ან დაითხოვენ, ან ისეთ ადაგას გადაიყვანენ, რომ ეშმაკმა ვედარ ნახოს.

სწორედ ასეთი ამბავი დატრიალდა დ. ხარაგოულში. აქ საზოგადოებამ თავის ხარჯით ითხოვა დაარსება უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლისა და გამგეთ ნამდვილი მუშა და პატიოსანი ადამიანი ტ. ტაბუკაშვილი მოითხოვა, მაგრამ მის მაგივრად სომეხი და რუსი მასწავლებლები გამოუგზავნეს. მართალია თან დააყოლეს „დროებითო“, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით რომ თუ ხარაგოულის საზოგადოებამ დროზე ხმა არ ამოიღო, სიტყვა „დროებითი“ სამუდამოდ გადაიქცევა. ამისათვის კარგს ინებებს ხარაგოულის საზოგადოება ერთ მეორეში კინკლაობას თავს დაანებებდეს და ბ-ნ ტაბუკაშვილის დაბრუნებასა და გადმოყვანას ხელს შეუწყობდეს.

ვანო.

## რუსეთი.

პროტოპოპოვთან სათათბიროს მოწვევის შესახებ საუბარის დროს შტიურმერს უთქვამს: პირველი ნოემბერი. შორს არ არის და მანამდე კი სათათბიროს მოსაწვევდ საჩქარო არა გვაქვს რაო.

---

ციმბირის თავად აზნაურობის წინამძღოლი პროტოპოპოვი უმაღლესი ბრძანებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველად დაინიშნა, ნაცვლად ხვოსტოვისა, რომელმაც სამსახურს თავის ნებით გაანება თავი.

---

ბიუროკრატიულ წრეების აზრით პროტოპოპოვი ვერ გაამართლებს მოლოდინს და თავის დანიშნულების სათანადოთ ვერ შეასრულებს.

---

კასპიის ზღვაზე დაღუპულა სავაჭრო გემი „ბიზანტია“; 80 ფუთი საქონელი და 19 კაცი ზღვას შთაუნთქამს.

---

ომსკის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს დაუტუსაღებია ხმოსანი ქალაქის სასურსათო კომისიის წევრი მუხაჩევი, რომელმაც 800 ფუთი შაქარი გადამალა.

---

კიევში ფქვილი მიუღიათ და, როცა აუწონიათ აღმოჩენილა რომ თითო ტომარას ათგირვანქა კლებია პროტოპოპოვის მაღალ თანამდებობაზე აზრი თურმე მას შემდეგ დაებადათ, რაც მან საპარლამენტო დელეგაციის მოქმედების შესახებ მოხსენება მიართვა ხელმწიფე იმპერატორს.

---

თანახმად ყაზანის გუბერნატორის შუამდგომლობისა ამავე ქალაქის სტუდენტების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 15 ათას მან. გამოუგზავნია ტატიანეს კომიტეს.

---

ნაცნობებმა და მეგობრებმა 30 წლის იუბილე გადაუხადეს ცნობილ რუსულ წიგნების ჟურნალების და გაზ. „რუსკოე სლოვოს“ გამომცემელს ი. დ. სიტინს.

---

მიწათ მოქმედების მინისტრზე ისე უმოქმედია მისი შვილის სიკვდილს ბრძოლის ველზე რომ შტიურმერისათვის თანამდებობიდან განთავისუფლება უთხოვია.

---

სწავლა განათლების სამინისტრომ სამოსწავლო ოლქის მზრუნველებს აცნობა, რომ იმპერიაში კერძო საშუალო სასწავლებლების გახსნა ომის გათავებამდის არ იქნება ნება დართულიო.

---

ახლო მომავალში სწავლა განათლების სამინისტროს განკარგულებით ყველა კერძო სასწავლებლებს რევიზიას უზამენ.

## უცხოეთი.

იაპონიაში დღედღეზე მოელიან პრმიერ მინისტრის გრაფ ოკუმის გადაყენებას; მის თანამდებობაზე ასახელებენ ვიკონტ კატოს, რომელიც ყველა პოლიტიკურ პარტიების შეერთების მოსურნეა:

---

საფრანგეთს განსაკუთრებული მისია გაუგზავნია მექქის შერიფისათვის ფრანგებს კარგად დახვდომიან.

---

დანიის რიქსდაგში გამოაშკარავდა რომ დანიას თვეში 5 მილიონი ეხარჯება თავისდასაცავ ღონისძიებათა მისაღებათ.

---

ბერნიდან დეპეშით იტყობინებიან: შვეიცარიის ფედერატიულ საბჭოს გერმანიასთან დადებული ეკონომიური შეთანხმება მოუწონებია.

---

სკანდინავიის კონფერენციის მუშაობის დედა აზრი ჯერაც გამოურკვეველია, მაგრამ ერთი რომ კი აშკარაა ამ კონფერენციამ მოსპო ხმები ცალის მხრივ შეცია მოკავშირეთა უთანხმოებისა და მეორეს მხრით, გერმანია დანიის უკმაყოფილებისა.

---

სკანდინავიის ნეიტრალიტეტი დღეიდან უზრუნველ ყოფილად უნდა ჩაითვალოს.

სკანდინავიის ერთ მინისტრს. რუს კორესპონდეტისთვის განუცხადებია:

სკანდინავიის კონფერენცია იმან გამოიწვია რომ ზოგიერთი სახელმწიფო ჩვენს ომში ჩარევას სცდილობდა და, რადგანაც ომმა ბევრ არა ჩვეულებრივ ამბავს მიგვაჩვია, ამიტომ ჩვენ გვეშინოდა იგივე არ გაემეორებიათ ჩვენთვის, რაც სხვა სახელმწიფოებს უყვეს და დროზედ ზომები მივიღეთ ჩვენი სურვილია ნეიტრალიტეტი ომის ბოლომდის დავიცავთ, მიუხედარათ იმისა, თუ რომელი მახარე დასძლევს იძახიან სკანდინავია გამდიდრდაო მაგრამ ავიწყდებათ, რომ ჩვენ ვერც ერთი განზრახული სოციალური რეფორმა ვერ განვახორციელეთ და მთელი ჩვენი ძალ ღონე და თავისუფალი ქონება ქვეყნის თავდსაცავ ღონისძიებას შევალიეთ, უთქვამს მინისტრს.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

გაზეთ „საქართველოს“ № 187 აგვისტოს 23 მოთავსებული იყო ძირულის შესახებ წერილი, რომელშიაც ბ. „აქაური“ ძირულის გეოგრაფიულ აღწერასთან ერთად, ქებით იხსენიებს ზოგიერთ პირებს, როგორც საზოგადოების გულ-შემატკივართ. მე არ გამოუდგები ბ-ნ „აქაურის“ წერილის გაკრიტიკებას, ვინაიდგან „აქაურის“ წერილი სიზმარში ნახულ ამბავს უფრო ჰგავს. ვსთხოვ მხოლოდ მისგან შექებულ პირებს მოიგონებონ უკანასკნელი—მოქალაქეობრივი გამბედაობა და საჯაროდ აღიარონ: სად და როდის შესწირა ბ ქათამაძემ საზოგადოებას ესოდენი თანხა? რომელ ჟამს იყო, რომ მღვდ. მანჯავიძე და ვარლამ ჩიხლაძე სამკითხველოს აარსებდნენ და სულს უდგამდნენ? როდის იყო, რომ სამკითხველოს მე ანგარიში არ გაუწიე? იმედი მაქვს პატივცემული [illegible] არ მიცემენ თავს და საჯაროდ [illegible] სის საშუალებით აღნიშნონ სინამდვილე. წინააღმდეგ შემთხვევაში [illegible] ჩირგვ ამოფარებულ [illegible] მათშივე მოვძებნი. პასუხს ველი.

ერმალოზ დიმიტრის ძე ებანოიძე.

---

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**“

---



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. | |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 6 ს. 50 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 8 | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 20 | „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 5 ს. 20 | „ |


## გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედ.

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

## აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, ს ყმაწვილობს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

## საღი კუჭი
## ჟელაგარი ექ. ვეზისა.

ახალი მეცნიერულად შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ უაზბობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული უაზბობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის დებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემოროისა, იწვევს სისხლის მოწამლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. უაზბობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ სადაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს უაზბობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაგვის მასსას, ასადებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია უაზბობისაგან. **ჟელაგარი** სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჩვილ ავათმყოფობისაგანაც კი. პრეპარატ **ჟელაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებით ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში“ და ქუთაისში **ა. პ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

ჟელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი. 9 (წლიური)